№ 2709
შაბათი,
25 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2709
შაბათი,
25 დეკემბ

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა მოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შ დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახ ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 3

დღესასწაულისა გამო „ცნობის ფურცლის" შემდეგი №-რი გამოვა ორშაბათს, 27 დეკემბ.

„ცნობის ფურცლის" ხელის-მომწერთ ამ ნომერთან ერთად ეგზავნებათ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო ნაწარმოების ამხ." განცხადება კალოშების შესახებ.

მომავალ წლის იანვრის 9-ს ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში, თორმეტ საათზე, დანიშნულია **პირველი საგანგებო კრება** ტფილისის **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების** დამფუძნებელ წევრთა შემდეგ საგნების განსახილველად:

1. საზოგადოების წევრთა არჩევანი.
2. საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.
3. დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობისა. (5—4)

ტფილისელ ნოქართა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა აცხადებს:

1. საზოგადოების ექიმებად ამ ჟამად არიან: ექიმი ა. პ. კარაპეტიანი (მიხეილის ქ. № 94) და ექიმი ს. ს. ისტამანოვი (ბებუთოვის ქ., № 26); კბილის ექიმებად: ა. ა. მაისურიანი (ველიამინის ქ., № 22) და გ. ს. კლებანსკი (ელის. ქ., № 56).

ვისაც ექიმის შემწეობა უნდა, იმან უნდა აიღოს გამგეობის მიერ დაწესებული საჩეკო წიგნაკი, რომელიც იძლევა საზოგადოების კანტორაში (განოვის ქ., ს. ფრიდონოვისა) საღამოს $5^1/_2$-დან $8^1/_2$ საათამდე.

2. საზოგადოების სამკითხველო, რომელსაც მოსდის 30 გამოცემამდე ღიაა დილით 7-დან 11 ს.-მდე, საღამოთ 6-დან 11 ს-მდე. კვირაობით 9-დან 2-მდე და 5—8-მდე.

3. საზოგადოებაში შესასვლელ ფულად ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით, წინანდელ 10 მან. ნაცვლად დაწესდა 5 მან. პირველ ხარისხის წევრთათვის და 3 მან. მეორე და მესამე ხარისხის წევრთათვის. წლიური გადასახადი: 1 ხარ.—15 მან., მე-2 ხარ.—10 მ. და მე-3 ხარ.—5 მან.

4. გამგეობა მოელაპარაკა აფთიაქებს, ფირმებს და ზოგიერთ სახელოსნოებს, რომელნიც თავიანთ საქონელსა და ნაწარმოებს საზოგადოების წევრთ შეღავათიანის პირობებით უთმობენ. ფირმების სია და პირობები მსურველს მიეცემა გამგეობის კანტორაში.

5. საზოგადოების გამგეობა, თავის წესდების მე-18 §-ის ძალით, სთხოვს წევრებს იზრუნონ და დროით შეიტანონ ნახევარი წლის საწევრო გადასახადი. (3—1)

ექიმი
ი. ი. გამბურგერი

გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიოგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარისა და სხვ. (30—365—28

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—1)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—28)

ექიმი
პ. ა. აჯრდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 12—1. და საღამოთი 6—8 საათამდე. ელისაბედისქუჩა, № 160. (თვ.—8)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

კორლანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დივნისა № 12. „კრუჟოკის" გვერდით. (—6.—10)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში, კომერციულ ბანკის სახლი. (60—408—9)

დამზღვევი საზოგადოება „როსსია" სანდო და სასარგებლო პირობებით აზღვევს:

მზითევს ქალებისთვის

სტიპენდიებს ვაჟებისთვის

თანხებს მოხუცობის დროსთვის

თანხებს სიკვდილის დროსთვის

საცხოვრებელ შემოსავალს

ქვრივთა პენსიებს.

1904 წლის პირველ იანვრისთვის დაზღვეული იყო **81,142** კაცი

167,975,000 მანეთად.

დაწვრილებითი ცნობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (**С.-Петербургъ, Морская, № 37**) და განყოფილებაში ტფილისს (სერგიევის ქუჩა, ს. № 6) და აგრეთვე აგენტებთან **იმპერიის ყველა ქალაქში.** (1—1)

---

24 დეკემბერს დილის 6 საათზე გადაიცვალა

გიორგი ალექსანდრეს ძე ტარსაიძე

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებულის მეუღლე, შვილები, და და-ძმა. პანაშვიდი კვირას 26 დეკემბერს საღამოს 7 საათზე, საკუთარ სახლში ყორღანოვის ქუჩაზე. გამოასვენებენ ორშაბათს, 27 დეკემბერს დილის 10 საათზე კოლოუბნის ეკკლესიაში. დაკრძალვენ კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოს გალავანში. (1—420—1)

კნეინა მარიამ გიორგის ასული მაჩაბლისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას ძვირფას მეუღლის, აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-17 პოლკის უფროსის, პოლკოვნიკის

თავად ივანე (ოქრო) ილიას ძის მაჩაბლისა

პორტ-არტურში მოკლულისა, და სთხოვენ მობძანდნენ პანაშვიდზე, რომელიც გადახდილი იქნება სამშაბათს, 28 დეკემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი—12 საათზე. (2—424—1)

წმინდა ნინოს ეკკლესიაში შაბათს, 25 დეკემბერს, გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ექვთიმე დიანოზის ძის კალანდაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ცოლი **ელისაბედ კალანდაძისა** ნათესავებსა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დილის $9^1/_2$ საათზედ. (1—412—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.

ოთხშაბათს, 29 დეკემბერს, ბენეფისი **ნ. პ. ჩხეიძისა.**

წარმოდგენილი იქნება თავ. სუმბათაშვილის პიესა

ლეგენდა 5 მოქმედებათ **ლალატი** თარგმ. კ. მესხის-მიერ.

დასაწყისი 8 საათზე. ადმინისტ. ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი კ. **მესხი.**

ქართული წარმოდგენა—ვეტცელის თეატრში.

(მიხეილის პროსპექტი)

კვირას, 26 დეკემბერს **ბენეფისი ი. ივანიძისა** და **ვ. შალიკაშვილისა** ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

„დ ა-ძ მ ა"

ისტ. დრამ. 5 მ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი გუნია, სვიმონიძე, წივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, სარჯველაძე, იორდანაშვილი და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზე.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპ. არტისტის ლ. დ. დონსკოისა.

სადღესასწაულო რეპერტუარი:

26 დეკემბრიდან 1905 წლის 1 იანვრამდე.

კვირას, 26 დეკემბერს, ორი წარმოდგენა: დილით იაფ-ფასიანი—**„ფაუსტი"**, მუსიკა ჰუნოსი; საღამოთი დონსკოის მონაწ. **„პიკოვაია დამა"**, მუს. ჩაიკოვსკისა.

ორშაბათს, 27 დეკემბერს, ორი წარმოდგენა: დილით იაფ-ფასიანი—**„ევგენი ონეგინი"**, მუს. ჩაიკოვსკისა; საღამოთ—**„სნეგუროჩკა"**, მუს. რიმსკი-კორსაკოვისა.

სამშაბათს, 28 დეკემბერს, სალ. წარმ. დონსკის მონაწილეობით **„ნერონი"**. მუს. რუბინშტეინისა.

ოთხშაბათს, 29 დეკემბერს, ქართული წარმოდგენა.

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს, სალ. წარმ. დონსკოის მონაწ.—**„მანონი"**, მუს. მასსენესი.

პარასკევს, 31 დეკემბერს, წარ. იქ. 1. **„სევილელი დალაქი"**, მუს. როსსინისა, 2. **ახალი წლის მიგებება** და **მასკარადი.**

ვინც აიღებს ლოჟის, პარტერის, ამფიტიატრის და მე-2 და 3 იარუსების ბალკონის ბილეთებს, შეუძლიან დარჩეს მასკარადზე.

შაბათს, 1 იანვარს, 1905 წ. წარმოდგენა გალ.—**„ბოკაჩიო"**, ოპერეტა, მუს. ზუპპესი.

დილის წარმოდგენების დასაწყისი 12 ს. **საღამოს 8 საათზე.**

გამგე კელლერი.

ექიმი
ზ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—8)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—18)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 სად. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—30).

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს. დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—29)

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიაო) დილის 9—12 საათ. სალ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—3).

აბრეშუმის თესლი

ბაღდადის საუკეთესო ღირსების, შემოწმებული ტფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ, ფირმა ლაშვარდისა. იყიდება კოლოფი 1 მან. 15 კ.-დან 1 მან. 25 კ.-მდე. მსურველთ ვსთხოვთ მოვგმართონ ქ. ტფილისტი, სიონის ქუჩა, ანანოვის ქარვასლა, კანტორა გირსევან რატიანისა. (4—410—1).

სამხედრო საისტორიო მუზეუმი

სურათების გამოფენა

კავკასიის მხატვრობის მფარველ საზოგადოებისა. შესვლის ფასი 30 კაპ. კატალოგით. ბავშვებისა და სალდათებისათვის 15 კაპ. (4—396—3)

აფთიაქის მაღაზია ყვირილაში ა. ლ. მაღრაძისა.

1904 წლის პირველი დეკემბრიდან დაბა **ყვირილაში** გაიხსნა **აფთიაქის გალაზია,** სადაც იყიდება ყოველგვარი წამლები და კოსმეტიური საქონელი.

ადრესი: დაბა ყვირილა. აფთიაქის მაღაზიაში ანთიმოზ ლუკასძე მაღრაძეს.

Адресъ: Въ Квирилы. Аптекарскій магазинъ Антимосу Лукичу Маградзе.

(10—413—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან".

22 დეკემბერი.

პეტერბურგი. წყნარ ოკეანეს ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი დაინიშნა საადმირალო საბჭოს წევრად.

მუკდენი, 22 დეკემბერი (საკუთ. კორესპონდენტისაგან). ამ ბოლოს დროს კორეაში თავი იჩინა ძლიერმა პატრიოტულმა გრძნობამ. შესდგა პოლიტიკური საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს კორეის დამოუკიდებლობა. იაპონიის მთავრობის მოთხოვნით ეს საზოგადოება მალე დაიხურება.

მანილა, 28 დეკემბერი. („რეიტ. საag."). ერთი იაპონელი კრეისერი სან-ბერნარდინოს სრუტეში იმყოფება. დღეს ეს კრეისერი მიუახლოვდა მანილის ნავთ-სადგურის შესავალს.

ვენა. 23 დეკემბერი. ადმირალი შპაუნი პარიზს წავიდა, რომ მონაწილეობა მიიღოს გულის ინციდენტის გამომძიებელ კო სიაში.

ტოკიო, 23 დეკემბერი („რეიტ. საგ. რუს-იაპონელების დამატებით შეთანხმე პორტ-არტურის გადაცემის დროს სამო ლაქო თანამდებობის პირთ, თუ ამათ ჯარ არ უმსახურნიათ ვოლონტიორად, პატი სანი სიტყვა არ ჩამოერთმევათ.

ვეი-ხაი-ვეი, 23 დეკემბერი („რეი სააგენტო"). იაპონელებმა ნება არ მის ინგლისის კრეისერს „ანდრომედს" სურსა და სამკურნალო მასალა მიეტანათ პორ არტურში, რადგან, მათის განცხადები ჯერ ვერ იპოვნეს რუსების მიერ ჩაწყ ბილი ნაღმები. კრეისერი დაბრუნდა ვე ხაი-ვეიში.

პარიზი, 23 დეკემბერი. ამ ორი თვ წინად, როცა რუსეთის რამდენიმე კონტ ნაღმიანი გემი შერბურგს შევიდა, იაპონი მთავრობამ წინადადებით მიჰმართა საფრა გეთს ბალტიის ესკადრის მგზავრობის შეს ხებ. პარიზს იაპონიის ელჩს მოტონს სა ბარი ჰქონდა დელკასესთან. უკანასკნელ განუმარტა საქმის ვითარება მოტონს, რ მაც სავსებით დააკმაყოფილა იაპონელებ ამასთანავე დელკასემ გამოუცხადა მოტონ საფრანგეთის ნავთ-სადგურებისა და კოლო ნიების მოხელეებს გაეგზავნა განკარგულე —განმეორება იმ განკარგულებისა, რომ ლიც გაეგზავნა იმავე მოხელეებს ესპანი ამერიკის ომის დროსაო.

ტოკიო, 23 დეკემბერი („რეიტერი" დამატებით კონვენციაში ნათქვამია, რო დანიშნულ უნდა იქმნას ზედამხედველი კო მისია, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ცი ხის გადაცემის პირობების ასრულებას; იმავ კონვენციაში ნათქვამია, როგორ მოეპყრო ბიან იაპონელები რუსის ტყვეებს—სალდა თებსა და აფიცრებს. კომისიის წევრები შე ყრებიან მომავალ სამშაბათს პეიუშანის გო რის ძირში. რუსის ხმელეთისა და ზღვი აფიცრები იმ რიგად უნდა გამოცხადდნენ როგორც იაპონელთაგან აღნიშნული იქმნე ბა. რუსის აფიცრების ავანგარდი (მოწინა ვე რაზმი) ხუთშაბათს დილის 9 საათზე უნ და მოვიდეს იახუტსუის აღმოსავლეთ კიდე ზე. კონვენციით, აფიცრებსა და მოხელეებ ნება ეძლევათ იარაღი დაიტოვონ, სალდა თებს-კი აჰყრიან იარაღს. ისინი, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ ციხეს, შენობებსა და სამხედრო გემებს, პორტ-არტურში დარჩებიან და განსაკუთრებული ნიშნები ექმნებათ. თავისუფალ მეომრებსა და მოხელეებს, რომელთაც ოთხშაბათს 9 საათი შემდეგ იარაღს უპოვიან, და იმათაც, რომელნიც დანიშნულ ალაგას არ მივლენ, იაპონელები ისე მოექცევიან, როგორც თვითონ საჭიროდ დაინახავენ. აფიცრების კერძო საკუთრებას, რომელსაც ისინი დანიშნულ ალაგას მიიტანენ, იაპონელები გასჩხრეკავენ და ნებას მისცემენ მხოლოდ განსაზღვრულ წონის ბარგი წაიღონ. კონვენციაში აღნიშნულია აგრეთვე საავადმყოფოების გადაცემა და აგრეთვე ისიცა, თუ რა შეღავათი მიეცემათ იმათ, რომელთაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს შეღავათი შეეხება იმათ პირად თავისუფლებასა და ქონების გადატანას. ნათქვამია აგრეთვე, როგორ უნდა გაადვილებულ იქმნას აფიცრებისა და მოხელეების ოჯახების გაგზავნა. იაპონელებს უფლება ექმნებათ მოიშორონ მათთვის არა-სასურველი პირები. დასასრულ კონვენციაში ნათქვამია, რომ რუსებმა უნდა გაანთავისუფლონ ტყვე იაპონელები.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

23 დეკემბერი.

ბერლინი, 23 დეკემბერი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ რუსეთს არ უნდა სურდეს სახელმწიფოების შუამდგომლობაო. გრაფ კასინიმ გამოაცხადა, რომ რუსეთი ეხლა არ ჰფიქრობს ზავის ჩამოგდებაზე და შეერთებულ შტატების ცდა უნაყოფოდ ჩაითვლებაო. დღეს გარნიზონი და სხვა მცხოვრებნი პორტ-არტურს თავს დაანებებენ და შეიკრიბებიან სოფელში გოლუბინაია ბუხტასთან, სადაც გემებში ჩასხმენ და დალნიში წაიყვანენ.

პეტერბურგი, 23 დეკემბერი („სენტრალ ნიუს"). პორტ-არტურის აფიცრები და ჯა-

რისკაცები იახუთძაში შეიკრიბნენ დილის 10 საათზე. სამოქალაქო პირნი მივლენ იქ ხვალ. არა სამხედრო პირთ და მეომართა ოჯახებს შეძლებას მისცემენ მალე წავიდნენ პორტ-არტურიდან. ყველა საადმინისტრაციო და საფინანსო დოკუმენტები იაპონელებს უნდა გადაეცეს.

პეკინი, 23 დეკემბერი. რუსეთის ელჩმა ენერგიულის პროტესტით მიმართა ჩინეთის მთავრობას იმის გამო, რომ 300 კაცისაგან შემდგარი ჩინელთა რაზმი იაპონელებს მიემხრო ტაიპინლინის უღელტეხილზე ბრძოლის დროს. პროტესტი გამოცხადა აგრეთვე იმის გამო, რომ იაპონელებმა კუნძულ ლიაოდაოდან ჩინელები განაძევეს და ეს კუნძული თავის საზვაო ბაზად გახადეს. იაპონელები გემებს კუნძულებთან მიახლოვებას უშლიან და ნაპირების ახლოს სანეიტრალო წყლებში მიმავალ გემებს სინჯავენ.

მარსელი, 23 დეკემბერი. მოვიდა ინგლისელთა გემ „ნორა“-თი ინგლისის მთავარ-შტაბის კაპიტანი ჰეროი, რომელიც კუროპატკინის არმიასთან იყო და მანჯურიაში სამხედრო მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებდა. ერთ კორესპონდენტთან კერძო საუბრის დროს ჰეროიმ სთქვა, პორტ-არტურის აღება არავითარ ცვლილებას არ მოახდენს უმთავრეს ბრძოლის ველზე და დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს რუსები გაიმარჯვებენო.

პარიზი, 23 დეკემბერი. ხვალ მოვა გულის შემთხვევის გამომძიებელ კომისიის მეხუთე წევრი.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

პორტ-არტური. პორტ-არტურის აღებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პეტერბურგის საზოგადოებაზე. პეტერბურგში ამ ჟამად, თურმე ყველას მხოლოდ ერთი სიტყვა პორტ-არტური აკერია პირზე („ნ. ო.“).

დეპეშიდან ვიცით, რომ გენ. ნოგის ციხე მთლად ჩაუბარებია და ხვალ, 26 დეკემბერს, იმისი არმია პორტ-არტურში შევა.

ომის ამბები. „ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილია: „ჩვენ სარწმუნო ცნობა მოგვივიდა, რომ მუკდენამდე ბევრი გაგზავნილი არ ჩადის, და რაც ჩადის საქონელი ისიც სხვის ნაწვალები და ნაჩხრეკი გამოდგება ხოლმე: კალათები ან ცალიერი ჩავა ხოლმე, ან ვაი-ვაგლახით გავსებული; ასი ყუთის მაგივრად ხანგრძლივ ძებნის შემდეგ თორმეტ ყუთს ძლივს პოვობენ. არმიაში გაგზავნილი საჩუქრები ვაგონობით იკარგება და ძვირფასი ნივთები სადღაც ჰქრება. ყველა ეს ზაბაიკალისა და ჩინეთის (მანჯურიის) გზებზე იკარგება. არმიას გაგზავნილი წერილები არ მისდის, დეპეშებიც რამდენსამე კვირას რჩება ხოლმე გზაში. („ნ. ო.“).

შობა იესოსი და შობა ჩვენი

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება,“ ვიმეორებთ ყოველ წლივ ამდენი ხანია და ვიმეორებთ ჩვენს იმედს, ჩვენს იდეალს, მაგრამ იმედი იმედად რჩება და ვერ ვეღირსეთ იდეალის განხორციელებას ოცის საუკუნის განმავლობაში.

რატომ?

არა გვწამს ეს მცნება სავსებით და არც ვემსახურებით მას მთელის ჩვენის ძალ-ღონით. რას ქადაგებდა ის იესო, რომლის შობის დღეს მშვიდობის და სათნოების სიტყვები ესმით ბეთლემის მწყემსებს? თუ მოვაშორებთ მეტ ხორცს, ზედნაშენს, რომელიც გადაეფარა შემდეგ ქრისტიანობას, იესოს მოძღვრება არის თავისუფლების, ძმობის და თანასწორობის მოძღვრება, მოძღვრება მუდმივ განახლებისა და ამაღლებისა, კეთილშობილ მისწრაფებათა გამარჯვებისა და ბოროტების და სიბნელის დათრგუნვისა. „გიყვარდეს მოყვასი, ვით თავი შენიო,“ „იყავ სრული, ვით ღმერთიო,“ უქადაგებდა იესო ხალხს. ნიცშე ამბობდა, რომ ქრისტეს მოძღვრება მონების სარწმუნოებააო. მართლაც, იესო მოვიდა დაჩაგრულთა და უბედურთათვის, ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთათვის. იესო იყო მქადაგებელი საზოგადოების ძირითად რეფორმისა, მას უნდოდა აეშენებინა კაცობრიობა სულ სხვა საძირკველზე, ვიდრე იყო აშენებული მანამდის. მისი სამეფო იყო—სამეფო სამართლიანობისა, რომლის დამყარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც დამყარდება დედამიწაზე სრული თანასწორობა. ერთი ერი არ უნდა იმონებდეს მეორეს, ერთი ადამიანი არ უნდა სჩაგრავდეს მეორეს, ყველას ერთნაირი უფლება უნდა ჰქონდეს ცხოვრებისა, ბედნიერებისა, განვითარებისა.

გვწამს ჩვენ ყველაფერი ეს? „ქვეყანასაზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ ვიმეორებთ, მაგრამ აღვიარებთ ამას გულით? წელიწადში მხოლოდ ორჯერ მოვიგონებთ იესოს მცნებას—შობას და აღდგომას, ისე კი დავიწყებული გვაქვს, ისე დავიწყებული, რომ ყოველ დღე ვგმობთ და ჩვენი ცხოვრება არის უარყოფა ამ მცნებისა. წელიწადში მხოლოდ ორჯერ მოგვაგონდება, რომ არ უნდა ვარგოდეს დღევანდელი საზოგადოება, წესწყობილება, ჩვენი ყოფა-ცხოვრება, და მაშინ დაგვეხატება წინ სხვანაირი ცხოვრება, გვებადება სხვა იდეალი, გვეძლევა იმედი, რომ დღევანდელი სამეფო დაიქცევა და მის მაგიერ აშენდება დიდებული სამართლიანი და ძმური საზოგადოება...

მაგრამ მკრთალია ჩვენი იდეალი, იგი წელიწადში მხოლოდ ორჯერ დაგვებადება, ჩვენი სული და გული არ ეკუთვნის მას მთლად და იმედი იმედად რჩება და ჩვენი იდეალი, ჩვენი მკრთალი, სუსტი, გაუბედავი იდეალი განუხორციელებელია.

ჩვენ ვოცნებობთ ძმობასა და სამართლიანობაზე, ვოცნებობთ ხან-და-ხან და არ გვინდა კი თავი გამოვიდვათ, ვიბრძოლოთ და მოვიპოვოთ ეს ძმობა და სამართლიანობა. ჩვენ გვინდა, ოცნებამ მოგვივლინოს ბედნიერება, ჩვენის ხელის გაუნძრევლად, თავისთავად დამყარდეს ჩვენ შორის უფლება და სამართალი. მაგრამ არასოდეს არ მომხდარა, რომ ოცნებას განეხორციელებინოს რამე ცხოვრებაში, რომ სამართალი ღირსებოდეს იმას, ვისაც არ შესძლებია თავის განწირვა და ბრძოლა სამართლისათვის. ცხოვრების შეცვლა შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, რომელთაც აქვთ ღრმა რწმენა, ეს რწმენა ასულდგმულებს ყოველ დღე და, რომელნიც მზად არიან, რწმენა საქმედ აქციონ.

ამიტომ ამ შობას დღეს ერთად ერთი ჩვენი სურვილი ის იყოს, რომ გვეღირსოს ჩვენი შობა: ღრმად განვიმსჭვალოთ რწმენით, სამართლის, უფლების და თანასწორობის მიპოვების შეგნებით, და გამოვიდეთ და ვიმოქმედოთ იმის განსახორციელებლად, რაც გვრწამს, რაც გვწადია, რაც აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია! თავისთავად არაფერი არ მოვა, არ მოვა ჩვენთვისაც! უფლება მისია, ვინც იბრძვის, მოქმედობს უფლებისათვის.

მაშ შობა მოქმედებისა და მუშაობისათვის! მაშინ გადაიქცევა ოცნება სინამდვილედ! მაშინ დაიმსხვრევა ბორკილი და მზის სხივები მოესალმება ჩვენს სახეს!

კალამი

ახალი ამბავი

◆ თიანეთის მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელმა შუამავალმა აცნობა გუშინ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ **თიანეთის მაზრის ზოგიერთ სოფლის** მცხოვრებთ აზრადა აქვთ შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო იარაღი, მაგრამ არ იციან სად ან ვის მიჰმართონ. უნდათ აგრეთვე ისეთ მცენარის თესლეულობა, რომელიც იხეირებს ფშავ-ხევსურეთში.

◆ გუშინ დილით ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა **ცნობილი თვალის ექიმი გ. ტარსაიძე.** ყველა, ვინც იცნობდა განსვენებულს, სამწუხაროდ ჩასთვლის ამ ამბავს. კარგა ხანია, რაც განსვენებული განუკურნებელმა სენმა, პროგრესიულმა დამბლამ, და იმისმა შედეგმა—სულის ავადმყოფობამ შეიპყრო. ვისაც ოდესმე საქმე ჰქონია განსვენებულთან, კარგად ესმოდა ის ყურადღება, მდიდარ-ღარიბთა განურჩევლობა, გულ-მტკივნეულობა, რომლითაც იგი ავადმყოფებს ეკიდებოდა. თავის საქმის სამართლიანად მცოდნე, გონება-გამჭრიახი სპეციალისტი, თვალის ექიმი, ხარკოვის სახელ-განთქმულ პროფესორის გირშმანის მოწაფე, იგი ფრიად სასარგებლო წევრი იყო ჩვენის სპეციალისტებით ღარიბ საზოგადოებისა: ბევრ მძიმე ავადმყოფს შეუმსუბუქა ტანჯვა, ბევრს შეაყვარა თავი თვისი უბრალო ქცევითა და გულმტკივნეულობით.

◆ 22 დეკემბერს მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა შესცვალა სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი ერევნის გუბერნიის სომხეთა კეგამ პოლოსიანცის და სარიბეკ კასპარიანცის შესახებ. ამათ ჰბრალდებოდათ თავიანთ სოფლელების საფარ, ჰაირაპეტ და ხათუნ ალექსანოვების მოკვლა. სამხედრო ოლქის სასამართლომ ორივეს **სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.** მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა სიკვდილის ნაცვლად უვადო კატორგა გადაუწყვიტა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის უფროსი ინჟენერი **აკორონკო**, ეკატერინის რკინის გზაზე გადადის. იმის ადგილას ნიშნავენ ხსენებულ გზის რემონტის უფროსს პ. ა. მოზეროვსკის.

◆ როგორც ეწერდით, ქ. **ახალქალაქის სტაროსტად** ადგილობრივმა ქალაქის რწმუნებულებმა აარჩიეს არშაკ გრიგორიანცი. ტფილისის გუბერნატორმა გრიგორიანცი დაამტკიცა ამ თანამდებობაზე.

◆ 22 დეკემბერს ტფილისის ქალაქის ტეხნიკოსებმა თავიანთი აზრი გამოსთქვეს ინჟენერ საგრაგანსკის მიერ შედგენილ **ახალ საყასბოს** პროექტის შესახებ. როგორც ვიცით, ეს პროექტი საყასბოს ამშენებელმა კომისიამ მიიღო როგორც საუკეთესო. ტეხნიკოსებმა უვარგისად სცნეს. ამათის აზრით, ამ პროექტმა არ შეიძლება მეტოქეობა გაუწიოს სხვა ფირმათა პროექტებს.

◆ ტფილისის მაზრის სოფ. ნორიოში 22 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, მოუკლავთ მამასახლისი მიხეილ კოპილაშვილი. მკვლელნი დაიმალნენ. ამ საქმის გამოსაძიებლად [illegible]ნა მაზრის უფროსის თანაშემწე ბუიუშვილი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს 730 მანეთი. ამ ფულით ფარნები უნდა დაიდგას ავლაბრის განაპირა ადგილებსა და ნავთლუღში, სადაც ქურდები სიბნელით სარგებლობენ და ხშირად მგზავრებს ძარცვავენ.

◆ 22 დეკემბერს პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ გამგეობის სატეხნიკო განყოფილების უმთავრესი არქიტექტორი ნოვიკოვი, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის შენობები.

◆ სადგ. დალმამეტლი. 23 დეკემბერს, 1 საათზედ, მანევრების დროს, როდესაც ვაგონს ხსნიდა მატარებელს № 204, ტორმოზის კონდუქტორი მიხეილ პლეშნიკოვი ჩავარდა ვაგონის ქვეშ და ვაგონების თვლებმა მოსწყვიტა მარჯვენა ფეხი. დაშავებული განჯის საავადმყოფოში გაგზავნეს, ხოლო იქიდან—ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში.

◆ ავჭალას და ტფილისს შუა 24 დეკემბერს სახალხო მატარებელში № 5 მგზავრს კონსტანტინე ჯაფარიძეს ვიღაცამ ააცალა ნივთები 23 მანეთისა.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა გუშინ, 24 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობას დანიშნოს ექიმთა კომისია, რომელმაც სანიტარიის მხრივ უნდა დაათვალიეროს მდინარე ვერის ნაპირები, საიდანაც ყინული მიაქვთ.

—

დღევანდელ ხელის-მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება** ორი ერთად, წარსულ ხუთშაბათისა და ხვალისა, № 281. შინაარსი: „პირველი სხივი“—ლექსი ი. ევდოშვილისა, „ძალუა თებრო“ მოთხ.,—განდეგილისა, „შობა ღამე ზღვის პირად“, მოთხ. ი. რუნებერგისა, თარგ. ალ. საათაშვილისა, „სამი მოგვი“, ანდრე ტერიესი, თარგ. ი. პ—ვისა; სურათები: „სიქსტის მადონა“—სურათი რაფაელისა, „წმ. ანტონ პადუელი და ყრმა იესო“,—სურათი მურილიოსი, კაპიტანი ნ. კლადო, რუსის ტყვე-აფიცრები და დაჭრილი აფიცრები დალნიში, იაპონელთა წითელი ჯვრის მოსამსახურენი განგებ თავს იმკვდარუნებენ, რომ დაჭრილებს მიეშველნენ, სწრაფი ფოსტა იაპონიის ჯარში და ოთხი კარიკატურა.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრება

20 დეკემბრის კრებაზე საზოგადოების რიცხვმა კიდევ უფრო იკლო, და ეს არც გასაკვირველია, რადგან ქუთათურ საზოგადოებას, მოგეხსენებათ, „კენჭობია“ უფრო აინტერესებს და მთავარი „კენჭობია“ კი წინა დღით გათავდა. წინა დღის ოქმის წაკითხვის შემდეგ დირექტორად ნამყოფმა მ. ნ. ქუთათელაძემ ითხოვა ჩამატებულ იქმნას ოქმში, რომ მან ორჯელ ითხოვა სიტყვა, მაგრამ ნება არ მისცეს. თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძემ დაუმატა ოქმს,

ფელეტონი

სასამართლოს რეფორმა 1864 წლისა

სასამართლოს რეფორმამ 1864 წელს რუსეთის შინაურს ცხოვრებაში იმდენად დიდი და ღრმა გავლენა მოახდინა, რომ იმის მნიშვნელობის გაზვიადება ყოვლად შეუძლებელია. ორმოცის წლის წინად სამართალი ბიუროკრატიულს ოთახში იყო მომწყვდეული, მოსამართლეები იგივე მოხელეები იყვნენ; არავინ არ იცოდა, რა სწარმოებდა და როგორ სწარმოებდა სასამართლოს დარბაზში; სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულნი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას პირადად და სიტყვიერად აეხსნათ მოსამართლეთა წინაშე თავიანთ საქმის მდგომარეობა; სასამართლოს გადაწყვეტილება პრაქტიკულად ყოვლად შემძლებელს მდივანზე იყო დამყარებული, მომეტებულს შემთხვევაში მოსამართლეები მხოლოდ ხელს აწერდნენ მდივნის მიერ წინადვე შედგენილს ქაღალდებს, საქმის წარმოება მთლად წერილობითი იყო, გადაწყვეტილების შესადგენად კანონს ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული ჰქონდა სხვა-და-სხვა გვარის საბუთების ძალა; მოსამართლეს კანონით უფლება არა ჰქონდა თავისუფლად დაეფასებინა საბუთების მნიშვნელობა, იგი უბრალო, მექანიკური მანქანა იყო, რომელსაც უსულოდ და უგულოდ უნდა გამოეანგარიშნა სხვა-და-სხვა ფაქტებიდან სასამართლოს განაჩენი; კანონის ძალით ყველა საქმე ერთის დაწესებულებიდან მეორეში იგზავნებოდა ხელ-ახლად გასარჩევად. ზოგი საქმე შვიდს, რვა ინსტანციას გაივლიდა ხოლმე, თვითეულს საფეხურზე რამდენიმე წელიწადი უცდიდა თავის ჯერს და ამნაირად მრავალი საქმე ოცი, ორმოცი წელიწადი განიცდიდა წვალებას და ტანჯვას.

ხშირად, მიუხედავად ამ დაუსრულებელის წარმოებისა, საქმეს ისეთი დასასრული ეძლეოდა, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა სიმართლეს. მაგალითად, იშვიათი არ იყო ამნაირი შემთხვევა: რამდენსამე კაცს ერთად მოასწრეს ქურდობაზე, მისცეს ყველანი სამართალში, მაგრამ ერთმა ბრალდებულმა გულახდილად აღიარა თავისი დანაშაული, სხვებმა კი უარი ჰყვეს. რადგანაც კანონი ერთისა და ორის მოწმის ჩვენებას საკმაო საბუთად არა სცნობდა, და იმავე დროს ბრალდებულის მიერ თავის დანაშაულის აღსარებას სრულს საბუთად სთვლიდა, სასამართლო იმას, ვინც გამოტყდა, ჰსჯიდა, სხვებს კი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ სტოვებდა. სისხლის სამართლის საქმეები მომეტებულ ნაწილად მაინც იმით თავდებოდა, რომ ბრალდებულს პოლიციის ზედამხედველობას უწესებდნენ. ასეთი პირი მრავალთაგან მრავალი იყო. ეს ზედამხედველობა კი პრაქტიკულად იმას ნიშნავდა, რომ კაცს აღარც სადმე სამსახურში მიიღებდნენ, აღარც ვაჭრობის უფლებას მისცემდნენ, აღარც ერთის ადგილიდან მეორე ადგილას გადასახლება და წასვლა-მოსვლა შეეძლო და სხვა.

გლეხთა განთავისუფლებამ 1861 წელს ახალის შუქით, ახალის სხივით გაანათა რუსეთის ცხოვრება. მონობის ბორკილი დაიმსხვრა, ადამიანი ადამიანად იცნო კანონმა და ცხოვრების გზა მიეცა წინანდელს უსიტყვო და კანონის გარეშე მყოფს გლეხს. ამ ძირითადს რეფორმას ბუნებითად თან მოჰყვა სასამართლოს რეფორმაც. სასამართლოს რეფორმას ორი მხარე უნდა ჰქონოდა, ორ გვარი მოთხოვნილება უნდა დაეკმაყოფილებინა. ჯერ ერთი—უნდა გაადვილებინა სასამართლოში საქმის წარმოება, გაეთანასწორებინა სამართლის წინაშე თავადი და გლეხი, დიდი და პატარა, დაეახლოვებინა სასამართლო ხალხისთვის, და მეორე—სასამართლო უნდა გადაქცეულიყო სახელმწიფოში კანონიერების დამცველ ბურჯად. ამისათვის საჭირო იყო წინანდელ წოდებრივ სასამართლოების მოსპობა, ინსტანციების შემოკლება, საქმის წარმოების დამყარება მოდავეთა შეჯიბრეობასა და მათს ინიციატივაზე, გაუქმება საბუთების დამამტკიცებელ მნიშვნელობის კანონით განსაზღვრისა და მოსამართლეთათვის მინიჭება ამ საბუთების თავისუფლად, სინიდისის მიხედვით, დაფასების უფლებისა, გაუქმება წერილობით საქმის მიმდინარეობისა და სიტყვიერის წარმოების შემოღება, გაუქმება სასამართლოს კარჩაკეტილობისა და სამართლის საჯაროდ წარმოება, მოსამართლეთა გამოტოვება ბიუროკრატიის მოხელეთა სიიდან, უზრუნველყოფა მოსამართლის დამოუკიდებლობისა ადმინისტრაციისაგან, გაუქმება მოსამართლეების სამსახურიდან დათხოვნისა გაუსამართლებლად და იმათის გადაყვანისა ერთი ადგილიდან მეორეზე, შემოღება მოსამართლეების გამწესებისა ადმინისტრაციის დამოუკიდებლად, დაკანონება სასამართლოს მიერ განხილვისა ყველა სადავო საქმისა, შემოღება სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების უფლებისა ბეჭდვითის სიტყვის საშუალებით და სხვა.

ახალი სასამართლო ნეშტარი უნდა ყოფილიყო იმ წყლულის გამოსარწყავად, რომელიც ბუნებითად დარჩებოდა ბატონყმობის პრინციპზე აგებულს შინაურს ცხოვრებას და ადმინისტრაციის თვითნებობაზე დამყარებულს მმართველობას და რომელიც აუცილებლად ძირს უთხრიდა კანონიერებას და ერის წარმატებას. დასავლეთ ევროპის გამოცდილებამა და იურიდიულმა მეცნიერებამ უეჭველს ჭეშმარიტებად ჰყო ის აზრი, რომ სახელმწიფოში და სამოქალაქო ცხოვრებაში თავისუფლების პრობლემა აუცილებლად კანონიერების პრინციპით უნდა იქნას გადაწყვეტილი. ერთის მხრივ, ადამიანი, როგორც თვით-მიზანი, ყოველს ინტერესზე მაღლა სდგას, და ამიტომ პიროვნება არავითარ ინტერესის მისაღწევ საშუალებად, უბრალო იარაღად არ უნდა იქნას გადაქცეული; პიროვნება თითონ არის ბატონი და პატრონი ყოველის ინტერესისა და იმას შეზღუდვა, იმის შემოკლება ინტერესებისათვის სრული უკუღმართობა, სრული უსამართლობა იქნებოდა. მაგრამ ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი ცხოველი, ყოველთვის საზოგადოებაში უნდა სცხოვრობდეს;—საზოგადოების არსებობა აუცილებელი პირობაა ადამიანის მოქმედებისთვის, საზოგადოების გარეშე ადამიანი ვერ იბოგინებს, ვერ იცხოვრებს. საზოგადოებაკი შეუძლებელია უიმისოდ, რომ არ არსებობდეს განსაზღვრული წესი ადამიანთა ურთი-ერთობისა. ამ ურთი-ერთობის წესს აუცილებლად ესაჭიროება მუდმივი მცველი, მუდმივი დარაჯი, რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიან ასრულოს თავისი მაღალი დანიშნულება, როდესაც პიროვნება ვალდებული და იძულებული იქნება დაექვემდებაროს იმის ბრძანებას და განკარგულებას. ამგვარად ადამიანის ცხოვრება საზოგადოებაში ბუნებითად შეიცავს თავისუფლებისა და წესიერების, ანუ საზოგადოებრივ ურთიერთობის წეს-რიგის აუცილებლობის წინააღმდეგობას. ეს წინააღმდეგობა მხოლოდ იმით შეიძლება მოისპოს, რომ საზოგადოებრივ წესის დამცველი, ე. ი. მმართველობა საზოგადოებისა გაათანასწორებულ იქმნას საზოგადოების კერძო წევრებთან რაიმე უმაღლესის პრინციპის წინაშე, სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებლად საჭიროა მმართველობა და ხალხი, ორივე ვალდებული შეიქნეს თავისი მოქმედება სასტიკად დაუმორჩილოს წინადვე აღნიშნულს წესს, წინადვე შემუშავებულ რიგს, წინადვე დადგენილს და განსაზღვრულს ნორმას, ანუ კანონს. კანონი ერთნაირად სავალდებულო უნდა იყოს როგორც მმართველობისთვის, ისე ხალხისთვის, კანონი ორივეზე ერთნაირად მაღლა უნდა იდგეს, როგორც მმართველობა, ისე ხალხი—ორივენი უნდა ემორჩილებოდნენ კანონს და მხოლოდ კანონს. მმართველობა მარტო ოდენ აღმასრულებელი უნდა იყოს იმ კანონისა, რომელსაც მთელს სახელმწიფოში არავის არა აქვს უფლება გვერდი აუქციოს და ეწინააღმდეგოს.

აი, ასეთს კანონზე დამყარებულს მმართველობის წესს სცნობს თანამედროვე იურიდიული მეცნიერება ნორმალურად სახელმწიფოში შინაურ ცხოვრების გამგებლობისთვის და ასეთს სახელმწიფოს უწოდებს იგი უფლებრივ სახელმწიფოდ, „უფლებრივი“—ეს სიტყვა იმ ძვირფასის აზრის გამომხატავია, რომ კერძო პირების დამოკიდებულება ურთიერთთან, წოდებრივ ორგანიზაციებთან, ადმინისტრაციის მოხელეებთან, თვით ადმინისტრაციასა და სასამართლოსთან, ერთის სიტყვით, რომ ყოველს სფერაში ეს დამოკიდებულებანი მარტო ოდენ კანონით მინიჭებულს უფლებებზეა დამყარებული და სხვა არაფერზე.

კანონიერების პრინციპზე მართველობის მოწყობისთვის ევროპის გამოცდილება და მეცნიერება აუცილებელ საჭიროებად სთვლის ამ მმართველობის დანაწილებას სამს უმთავრესს შტოდ და თითოეულის მათგანისთვის ურთიერთისაგან დამოუკიდებელს მოქმედებას. ეს სამი შტო მმართველობისა არის: კანონმდებლობა, აღმასრულებელი ძალა ანუ ადმინისტრაცია და სასამართლო. იურისტების აზრით, კანონიერების დაცვა მმართველობაში ყოვლად შეუძლებელია, თუ სამივე შტო მმართველობისა ერთად არის შეერთებული და თვითეულს მათგანს ერთიმეორისაგან დამოკიდებულ მოქმედების ასპარეზი არა აქვს. ჩვენთვის საკმარისი იქნება გავითვალისწინოთ სასამართლოს დამოუკიდებლობის აუცილებლობა.

როდესაც მოსამართლედ და კანონმდებლად ერთი და იგივე პირია, მაშინ არავითარი გარანტია არ არსებობს, არაფერი არ უზრუნველჰყოფს იმას, რომ კერძო შემთხვევა, სასამართლოსთვის გადაცემული გადასწყვეტად, მართლა ისე იქნება გადაწყვეტილი, როგორც ეს კანონს შეეფერება და როგორც ამას კანონი მოითხოვს, რადგან მოსამართლე და იმავე დროს კანონმდებელი ადვილად შესცვლის თვით კანონს საქმის გარჩევის დროს ისე, რომ განსახილველის კერძო საგნის გადაწყვეტილება კანონსაც შეეფერებოდეს და თვით მოსამართლის პირადს განძრახვებს და ანგარიშებსაც. კანონი ამგვარად მოსამართლის ხელში ფუჭს სიტყვად, სათამაშო ბურთად გადაიქცევა, რომელსაც ის სწორედ იქით უზამს თავს, საითაც მოეპრიანება. კანონი ამ შემთხვევაში მოსამართლის თვითნებობას ვერავითარს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და სამართალი სრულიად დაჰკარგავს თავის დანიშნულებას. კანონისამებრ სადავო საქმეების გადასაწყვეტად სულ ამაოდ მიჰმართავს მაშინ ადამიანი სასამართლოს; იქ კანონიერების ადგილს თვითნებობა და პირადი ანგარიშები და მოსაზრებები დაიჭერს.

ნაკლებად არ დაიჩაგრება კანონიერება და არ გაილახება კანონიერების პრინციპი იმ შემთხვევაშიაც, თუ მოსამართლედ და ადმინისტრატორად ერთი და იგივე პირი იქნება. ადმინისტრაციის პირველი მოვალეობაა, აღსრულებაში მოჰყვანდეს კანონის სხვა-და-სხვა დადგენილება, ამიტომ იმას მუდამ ათასნაირი დამოკიდებულება აქვს ხალხთან. ადმინისტრაცია თავის მოქმედებას უმორჩილებს განსაზღვრულის მიზნის აღსრულებას და ამ მიზნის მისაღწევად იგი სხვა-და-სხვა საშუალებას ჰხმარობს, ადმინისტრაციას ამოძრავებს მიზანი, განზრახვა და არა პრინციპი კანონიერების დაცვისა. ამა-

Доз. цен. Тифлисъ, 23 декабря 1904 г.

რომ კრების გახსნიდანვე თავმჯდომარე არ იცავდა სამართლიანობას და არჩევნებიც უკანონოდ მოხდაო.

ოქმის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარემ წინადება მისცა კრებას არჩეულ იქმნას საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრნი. 7 ძველ წევრიდან საბჭოში კრებამ დასტოვა მხოლოდ სამი: ი. გ. ანჯაფარიძე, კ. რ. გოცირიძე, და რ. რიქინაშვილი; ახლად კი, თანახმად ა. მ. კრინიცკის წინადადებისა, ერთხმად არჩეულ იქმნენ: დ. ბ. კვირკველია, მ. ე. დარახველიძე, ზ. ოგანეზოვი და პ. ი. გოკიელოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად ერთხმადვე არჩეულ იქმნენ: ნ. მ. კანდელაკი, ი. ი. ჯაფარიძე და დ. ნ. ჩიქვაიძე; მათ კანდიდატებად დაასახელეს ნ. კ. ჩიქვაიძე და ს. ა. ქვარიანი. პირველი დასთანხმდა, მეორემ კი დაცინვით უარი სთქვა: „დიდად გმადლობთ. მე ჯერ იმდენად არ დამიმსახურებია საზოგადოების ნდობა და ყურადღება, რომ ასეთი საპატიო თანამდებობა ვიკისრო, და ამიტომ უარი უნდა განვაცხადო“ო. (საზოგადოებაში სიცილია). იმის ნაცვლად აირჩიეს მ. ქელბაქიანი.

არჩევნების შემდეგ, როდესაც საზოგადოების დიდმა ნაწილმა დასტოვა დარბაზი, თავმჯდომარე შეუდგა იმ საკითხის გამორკვევას, თუ რა ზომები უნდა მიიღოს საზოგადოებამ ბანკის ზარალის დასაფარავად. მდივანმა წაიკითხა მთავრობის რევიზორის წინადადება შესახებ იმისა, რომ საზოგადოებამ ან უნდა დაჰფაროს ბანკის ზარალი 533,000 მანეთი ან და უნდა მოახდინოს ბანკის საქმეების ლიკვიდაცია.

თავ. კ. ბ. **ლორთქიფანიძე**: დაწვრილებით არა მსურს ლაპარაკი მთავრობის რევიზორის ანგარიშის შესახებ, რადგან, ვატყობ, საზოგადოება ნებას არ მომცემს; მხოლოდ ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნო, რომ რევიზორის მიერ აღნიშნული ზარალი მეტად გაბერილი და გაზვიადებულია. მას ყველაფერი ზარალად ჩაუთვლია, რაც საზოგადოებას გაუნაღდებელი თამასუქები, მარგანეცი, ან სხვა დაგირავებული ნივთები აქვს,—შეიძლება, ასეთი ზარალი მოუვიდეს საზოგადოებასაო. ჩემის აზრით, კი რევიზორის ანგარიშში უნდა იყოს ნაჩვენები საზოგადოების მხოლოდ ნამდვილი და არა როდისმე მოსალოდნელი ზარალი. ყოვლად შეუძლებელია, რომ საზოგადოებამ 533,000 მანეთი ზარალი ჰნახოს. ამის დამამტკიცებელია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ რევიზორის მიერ უიმედოდ მიღებულ თამასუქებიდან უკვე შემოუვიდა ბანკს რევიზიის შემდეგ 60,000 მანეთი; მარგანეცის ფასიც მალე მოიმატებს, რასაც ეხლავე ვხედავთ, და ამგვარად მალე დარწმუნდებით, თუ რამდენად სწორია რევიზორის ანგარიში. მიუხედავად ამისა, საზოგადოება იძულებულია მიიღოს რევიზორის წინადადება და იკისროს იმისაგან ნაჩვენებ ზარალის დაფარვა პასუხის-მგებლობის 27%-ის შეტანით. შემდეგ კი, როდესაც ბანკს ზარალად ჩათვლილი ფული შემოუვა, ისევ წევრთ დაუბრუნდებათ.

ს. დ. **ჯაფარიძე**. რევიზორის მიერ აღნიშნული ზარალი მართლაც გაზვიადებულია. ჩვენის აზრით, ბანკის ზარალი 220,000 მანეთზე მეტი არ იქმნება; მაგრამ ჩვენ რევიზორის მიერ აღნიშნული ზარალის დაფარვა სრულიად უნდა ვიკისროთ, მხოლოდ გამგეობის მიერ ნაჩვენებ საშუალებით ზარალის დაფარვა სამი წლის განმავლობაში მოუხერხებელია, რადგან ამის ნებას არ მოგვცემს სამინისტრო, რომელიც გვეუბნება, ზარალი წესდების თანახმად უნდა იქმნეს დაფარულიო, ე. ი. ერთის კვირის განმავლობაში. ჩვენ, რასაკვირველია, ერთს კვირაში არ შეგვიძლიან ამ ზარალის დაფარვა, მაგრამ სამს წელიწადს გაჭიანურებაც არ შეიძლება. კერძო კრებაზედ ის აზრი წარმოითქვა, რომ პასუხის მგებლობის 27% სამ ნაწილად შეტანილ იქმნეს ბანკში ამგვარად: 10%—ორ თვეში, მეორე 10%—ერთის წლის განმავლობაში და დანარჩენი 7%-ც 18 თვეში. ჩემის აზრით, კარგი იქმნება, რომ ამ აზრს დავადგებოდეთ.

მ. ე. დარახველიძემ ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, თუ როგორ მოექცეს საზოგადოება ძველ გამგეობას, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა. პასუხის გებაში მივცეთ, თუ არაო. „ჩემზე მეტად არავინა სცემს პატივს ძველი გამგეობის წევრებს, მაგრამ არ შემიძლია ვაპატიო მათ ის დანაშაული, რომელიც ჩაიდინეს საზოგადოების წინაშე და ასეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩაგვაყენეს.“

თავ. დ. გ. წულუკიძემ საჭიროდ სცნო, რომ პირველი 10% ეხლავე იქმნეს ბანკში შეტანილი, თორემ, ჩვენ თუ ორი თვის ვადა მოგვეცა, ორი თვის გასვლამდის, უკანასკნელ დღემდის კაცი კაპეიკს არ შემოიტანს. მანამდის კი რით უნდა დააკმაყოფილოს კაცმა მევალეებიო.

ა. მ. კრინიცკი წინადადებას იძლევა, იმის გამოსარკვევად, პასუხის გებაში მიეცეს ძველი გამგეობა, თუ არა, არჩეულ იქმნას კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს, მომავალ მორიგს კრებაზე, მარტში, წარუდგინოს საზოგადოებას თავისი მოსაზრება.

ი. ალიბეგოვი დაუბრუნდა პირველ კითხვას და წინადადება მისცა კრებას ზარალის დასაფარავად პასუხისმგებლობისა. 27% ოთხ ნაწილად აქმნეს შეტანილი ბანკში ამგვარად: 10% ორს თვეში, 6%—აქვს თვეში, მეორე 6%—ერთი წლის განმავლობაში და დანარჩენი 5%-იც წელიწად-ნახევარში. კრებამ მიიღო ბ-ნ ალიბეგოვის წინადადება. ამგვარად, სამინისტროს მიერ აღნიშნულ ზარალის დასაფარავად უნდა ჩაირიცხოს საზოგადოების მთელი სათადარიგო თანხა 63,159 მან. 98 კაპ.; დაუფარავად უნდა დარჩეს ზარალის ნაწილი, რომელიც უდრის ძირითადი თანხის ერთ-მესამედს, ე. ი. 2,000 მან., 5 დანარჩენი ზარალი 424,000 მანეთი კი უნდა განაწილდეს საზოგადოების წევრთა შორის ისე, რომ თითოეულმა წევრმა გადაიხადოს თავისი პასუხის-მგებლობის 27%, იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია ბ-ნ ალიბეგოვის წინადადებაში.

ი. ალიბეგოვის აზრით, სამინისტროში უნდა გაიგზავნოს ახალ გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც უნდა დაევალოს შუამდგომლობის აღძვრა როგორც ამ უკანასკნელ დადგენილების, ისე სხვა საკითხების შესახებაც, როგორიც, მაგალითად, შავი-ქვის გადატანაზე ტარიფის დაკლების შესახებ და სხვა.

კრებამ, თანახმად ძველი გამგეობის მოხსენებისა, ერთხმად დაადგინა, აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა: ა) ფინანსთა სამინისტროს წინაშე შესახებ იმისა, რომ საზოგადოებას ნება მიეცეს მიიღოს შესანახად გარეშე პირთაგან შემოტანილი ფული, და ბ) სახელმწიფო ბანკის წინაშე, რომ მისცეს საჭირო კრე- [illegible] უნდა იკისროს ის ხარჯი, რომელიც სახელმწიფო ბანკს კონტროლისათვის დასჭირდება.

თავმჯდომარე. საზოგადოების 37 წევრმა განცხადება შემოიტანა შესახებ იმისა, რომ შემცირებულ იქმნეს საზოგადოების ხარჯები. გუშინ ჩვენ გამგეობის ახალ წევრებს კიდეც შევუმცირეთ ჯამაგირები. კმაყოფილი ხართ ხარჯების ასეთ შემცირებით, თუ კიდევ გსურთ მათი შემცირება? თხოულობენ ჯამაგირი მოუკლონ როგორც ბუხჰალტერს, ისე სხვა მოსამსახურეთ; ამასთან ზოგიერთი მოსამსახურე მთლად დაითხოვონ.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, ორი ათასი მანეთით შემცირდეს ბუხჰალტერისა და სხვა მოსამსახურეთა წლიური ჯამაგირები; იმის გადაწყვეტა კი, ვის შეუმცირდეს ჯამაგირი და ვის არა, მიანდო ახალს გამგეობას.

თავმჯდომარემ გაახსენა კრებას მ. ე. დარახველიძის მიერ აღძრული კითხვა შესახებ იმისა, მიეცეს სამართალში ძველი გამგეობა, თუ არა. ბევრი იდავეს ამ საკითხის შესახებ: ზოგს ეხლავე სურდა გამგეობის სამართალში მიცემა, ზოგი იმ აზრის იყო, რომ ამ საკითხის გამორკვევა მიენდოთ ახალ გამგეობისთვის, ზოგიც კომისიის დანიშვნაც სცნობდა საჭიროდ. ბოლოს ამ საქმის გადაწყვეტა შემდეგ დღისთვის გადასდვეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ პიროგოვის საზოგადოების საექიმო კრებაზე პეტერბურგში წაკითხულ იქნა ექიმის ბოროვიკოვის წერილი. ბოროვიკოვი სურვილს აცხადებს, პიროგოვის საზოგადოებამ იკისროს სასამართლოში ექიმის ზაბუსოვის საქმის წაყვანა. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ექიმი ზაბუსოვი ძლიერ გალახეს ყაზახებმა გენერლის კოვალიოვის ბრძანებით. ბოროვიკოვი ამტკიცებს, ზაბუსოვს გაუძნელდება ამ საქმის გაძღოლა და პიროგოვის საზოგადოების მოვალეობაა დახმარება აღმოუჩინოს და ხელი შეუწყოს თავისი ძლიერი გავლენითაო. კრება თანაგრძნობით მიეგება ბოროვიკოვის აზრს და დაადგინა, სთხოვოს ამ ექიმს, გამოგზავნოს ამ საქმის შესახებ ყველა მასალა და რჩევა მისცეს, თუ რა გზით შეუძლია საზოგადოებას დაეხმაროს შეურაცხყოფილ ექიმ ზაბუსოვს.

◆ „ნოვ. ობ.“-ს საკუთარი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ ქ. მინსკში 25 გრადუსი ყინვაა და უკვე გაყინულა ოთხი დარაჯი.

◆ ამას წინად, როცა საერო განათლების მინისტრი ქ. კიევს ეწვია, ადგილობრივ საქალებო გიმნაზიაში კურს-დასრულებულმა რამდენმამე ახალგაზდა ქალმა სთხოვა, ნება მოგვეცით კიევის უნივერსიტეტში შევიდეთ თავისუფალ მსმენელებადაო. მინისტრს უარი უთქვამს ამ ქალებისათვის.

◆ „სამარკანდ“-ის სიტყვით, იმიერ-კასპიის რკინის გზაზე შემდეგი არა-ჩვეულებრივი ამბავი მომხდარა. როცა სამგზავრო მატარებელი გზაში იყო, მეორე კლასის იმ განყოფილებაში, სადაც თუთუნის წევა აკრძალულია, ერთმა ვაჟბატონმა პაპიროსი ამოიღო ჯიბიდან და აბოლა. სხვა მგზავრებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ იმან ყურადღებაც არ მიაქცია და არხეინად განაგრძობდა თუთუნის წევას. ამ დროს წამოდგა ერთი მგზავრთაგანი, ჯიბიდან მომრიგებელ მოსამართლის ჯაჭვი ამოიღო, ჩამოიცვა, ისევ დაჯდა, ადგილობრივ გაარჩია ჯიუტ მგზავრის საქმე და ხუთი თუმანი ჯარიმა გადაუწყვიტა.

* * *

როგორ წარმოსდგა შობის ხე

წყნარი, მყუდრო, მაგრამ საამური საღამო იყო. მზე თითქოს ნაზის ალერსიანის ღიმილით ემშვიდობებოდა თოვლით დაფენილ მინდვრებს და ხის წვეროებს. შორით მოსჩანდა ნაძვის მწვანე ტყე, რომელიც სიცოცხლის იმედით ავსებდა ადამიანის გულს ამ თეთრ ცივ სივრცეში.

ტყის გზაზე გამოჩნდა პატარა ჯგუფი: რამდენიმე ბავშვი, ქალი და მაღალი, მხარბეჭიანი საკმაოდ მსუქანი მამა-კაცი. რაღაც განსაკუთრებული ბედნიერება ეხატებოდა ყველას სახეზე, ნამეტნავად მამას. გაბედული მაღალი შუბლი, გამჭრიახი თვალები და დინჯი სახის გამომეტყველება, როგორღაც ქედს ახრევინებდა ადამიანს მის წინაშე.

ის მიდიოდა გაღიმებული, მტკიცე ნაბიჯით, დინჯად, თითქოს ცხოვრება იმისთვის დამშვიდებული ზღვა, ყოფილიყოს და ის-კი გამოცდილი მენავე, რომელსაც შეგიძლიანთ ენდოთ და დარწმუნებული იყოთ, რომ მიგიყვანთ მყუდრო ნავთ-სადგურში. ის უღიმოდა ბავშვებს, ხან-გამოშვებით მხიარულად ეთამაშებოდა იმათ და ნაზის სიყვარულით ემუსაიფებოდა საყვარელ მეუღლეს.

ვინ მოიფიქრებდა, თუ ეს ბედნიერი მამა და მეუღლე, რამდენისამე ხნის წინ [illegible] საცოდავი, მივიწყებული და უმნიშვნელო ბერი [illegible] მონასტერში, ან ვინ მოიფიქრებდა, თუ მომავალი მიანიჭებდა მას დიდებულ სახელს რეფორმატორისას და მრავალი ხალხი ჭეშმარიტებად აღიარებდა იმისგან ქრისტეს სჯულის განმარტებას.

დიაღ, ეს იყო მარტინ ლიუტერი, თავის ცოლ-შვილით შობის წინა დღეს მყუდრო საღამოს მიდიოდა ვირტემბერგის ტყეში სასეირნოდ. ეტყობოდათ, ბავშვებს ძალიან უყვარდა მამა. წამ და უწუმ მირბოდნენ, უჩვენებდნენ ტყეში ნახულ საგნებს და სთხოვდნენ ახსნას. მამაც დიდის მოთმინებით და სიყვარულით უხსნიდა.

მზე თან და თან მიეფარა თვალთაგან და მთელი ოჯახი დაბრუნდა შინისაკენ. სწორედ ამ დროს პატარა ბუთხუზა ბიჭმა მოიტანა მხარზე გადებული ნაძვის—საოცრად ლამაზი შტო.

—მამილო, დახე რა ლამაზია! მინდა შინ წავიღო, ვიღაცას ხე მოუჭრია და ეს კი იქ დაუგდია, უთხრა მამას.

მამამ გაიცინა და გადაუსვა თავზე ხელი შვილს. როცა მარტინ ლიუტერი თავის ოჯახობით შინ მოვიდა, ბნელოდა. ცოლმა აანთო წმინდა სანთელი, რადგან მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარში სხვა სანთლების ხსენება სულ არ იყო გერმანიაში. პატარა ბუთხუზა ბიჭმა კი თავის დაძმების დახმარებით გაამაგრა ნაძვი ერთ ადგილას.

—მამილო, შეხედე!—შეჰყვირეს იმათ,—რა მშვენიერია.

ლიუტერს თითონაც მოეწონა ნაძვი და უფრო კარგად რომ დაენახა, აიღო სანთელი და მიაკრა. სანთელი ერთობ მოუხდა პატარა ხეს და გაახარა ბავშვები, რომელთაც სიამოვნებით დაიწყეს ხტუნაობა.

—მაშ კიდევ მოიტანე, დედილო, სანთლები!—შესძახა ლიუტერმა და დაუწყო ანთება და მიწებება.

ბავშვები აღტაცებაში მოიყვანა გაბრწყინებულმა ხემ. მაშინ ლიუტერმა მხიარულად უთხრა ცოლს:

—დედილო, მოიტანე ვაშლები რომ გაქვს, მძივებიც, ოქროს ძაფებიც, შაქრის კვერები, ყველაფერი დავკიდოთ და მოვრთოთ ჩვენი ხე.

ცოლმა მოუტანა ყველაფერი. ლიუტერი კი მხიარულად ჰკიდებდა ამ ნივთებს ხეზე. ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყოველ ახალ მორთულობის დაკიდებაზე უფრო აღტაცებაში მოდიოდნენ, ხტუნაობდნენ, ხარხარობდნენ, [illegible]

ეს საღამო მხიარულად გაატარა მთელმა ოჯახმა. როცა ბავშვები დასაძინებლად მიდიოდნენ, მამამ აკოცა და უთხრა:

—აი რა სასიხარულო საღამო გავატარეთ მაცხოვრის დაბადების სახსოვრად.

—ყოველ წელიწადს გავაკეთოთ, მამილო, ყოველს,—დასძახეს ბავშვებმა.

მეორე წელიწადს ლიუტერმა და იმისმა მეგობრებმა გააკეთეს თავ-თავიანთ ოჯახებში შობის ხე, იმის შემდეგ სხვებმაც დაიწყეს შობის ხის კეთება და ასე ჩვეულებად გადაიქცა. შემდეგ გერმანიიდან სხვა ქვეყნებშიაც გადაიღეს ეს ჩვეულება. ჩვენ საქართველოში კი დიდი ხანი არ არის, რაც შემოიღეს შობის ხის კეთება. გერმანიაში რაც უნდა ღარიბი ოჯახი იყოს, უსათუოდ გააკეთებს შობის ხეს.

ნინო ნაკაშიძე.

ტომ, უეჭველთვის მოსალოდნელია, რომ ადმინისტრატორი თავის განზრახვის მისაღწევად სრულიად შეუმჩნევლად, თითქოს ბუნებითად აუქცევს გზას კანონიერებას და სადავო საქმეებს იმდენად კანონის მიხედვით არ გადასწყვეტს, რამდენადაც სხვა-და-სხვა საადმინისტრაციო მოსაზრების მიხედვით. გარდა ამისა, ცხოვრებაში ადმინისტრაციის მოხელეს და მოქალაქეს მოსდით შეტაკება, უთანხმოება, რადგანაც მოხელე თავისებურად არკვევს და განმარტავს კანონის აზრს და მოქალაქეს კი ასეთი განმარტება სამართლიანად არ მიაჩნია; ამ გვარად იბადება სადავო საქმე ადმინისტრაციისა და კერძო პირთა შორის. თუ ეს სადავო საქმე საბოლოოდ ისევ მოხელემ უნდა გადასწყვიტოს, უეჭველია კერძო პირი გამტყუნდება, რადგან თავის თავის გამტყუნება არავის არ უყვარს. მეორე მხრივ, როდესაც ადმინისტრატორმა იცის, რომ კანონის განმმარტავი და სადავო საქმის გადამწყვეტი თითონვეა, ის ადვილად უხვევს გვერდს კანონის მოთხოვნილებას და აზრს თავის საადმინისტრაციო მოღვაწეობის დროს, რადგან პრაქტიკულად არავის შეუძლიან მოსთხოვოს კანონის აღსრულება იმ უბრალო მიზეზით, რომ იმის გარეშე სხვა აღმასრულებელი და კანონის დამცველი არავინ არის. ამ გვარად კერძო პირი და საერთოდ ხალხი ადმინისტრაციისა და სამართლის შეერთებით ერთისა და იმავე ორგანოების ხელში სრულიად ჰკარგავს თავის უფლებებს და მოხელეთა სურვილებისა და თვითნებობის მსხვერპლად ჰხდება. ადმინისტრაციის და სამართლის შეერთება მმართველობის საქმიდან კანონიერების პრინციპის გამორიცხვას ჰნიშნავს და თვით კანონს უკარგავს პრაქტიკულს მნიშვნელობას, რადგან იმას მოთხოვნილებათა ასრულება არაფრით აღარ იქნება უზრუნველყოფილი.

ზემოდ მოხსენებული და მრავალი სხვა მოსაზრება, რომელთა სრული ჩამოთვლა საგაზეთო წერილში შეუძლებელია, კანონიერების დასაცველად ითხოვს სასამართლოს დაწესებულებათა სრულს განცალკევებას როგორც საკანონმდებლო, ისე საადმინისტრაციო ორგანოებისაგან. სასამართლო მხოლოდ მაშინ იქნება ჭეშმარიტი დარაჯი კანონიერებისა, მხოლოდ მაშინ იქნება უფლებრივ წყობილების უზრუნველმყოფელი ბურჯი, როდესაც იმას დამოუკიდებლობა და თავისუფალი ორგანიზაცია მიენიჭება.

მესამოცე წლების დიდებულ რეფორმათა დედა-აზრი რუსეთის შინაურს ცხოვრებაში კანონიერების დამყარება იყო და ამიტომ ახალი სასამართლოც თავისუფალ და დამოუკიდებელ დაწესებულებად იქმნა აღიარებული. 20 ნოემბერს 1864 წელს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ სასამართლო დაწესებულებათა შემოღების შესახებ გასცა ბრძანება სენატს და ამ ბრძანებაში ნათლად გამოიხატა ის აზრი, რომ ახალი სასამართლო დამოუკიდებელი დამცველი უნდა ყოფილიყო კანონიერებისა. ამის შესახებ ზემოხსენებულს ბრძანებაში ვკითხულობთ: „განვიხილეთ რა ეს პროექტები, ვჰანით, რომ სავსებით ეთანხმებიან ჩვენს სურვილს, რათა დავამკვიდროთ რუსეთში სწრაფი, სწორი, მწყალობელი და ყველა ჩვენ ქვეშევრდომისთვის თანაბარი სამართალი, აღვამაღლოთ სასამართლოს უფლება, მივანიჭოთ მას ჯეროვანი დამოუკიდებლობა და საერთოდ განვამტკიცოთ ჩვენს ხალხში კანონისადმი ის პატივისცემა, ურომლისოდაც შეუძლებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობა და რომელიც უნდა იყოს მუდმივი ხელმძღვანელი ყველასათვის, უფროსისა და უმცროსისათვის“.

ახალს სასამართლოს, როგორც უჩვევს დაწესებულებას და დამოუკიდებელს მცველს კანონიერებისას, რა თქმა უნდა, რუსეთში ყველა მოყვარულად არ უცქეროდა. პირიქით, სასამართლოს ბევრი მტერი გამოუჩნდა, რომელთაც თავისი მოქმედება ჯერ ისევ იმ დროს დაიწყეს, როდესაც სასამართლო დაწესებულებათა დებულებები სდგებოდა და იხილებოდა სარედაქციო კომისიასა და სახელმწიფო საბჭოში. განზრახულს დამოუკიდებელს სასამართლოზე 1862 წლიდან იმის მოწინააღმდეგეებს დღემდე სხვა-და-სხვა მხრიდან მიაქვთ იერიში და კანონიერების მცველს დაწესებულებას უკვე რამდენიმე სიმაგრე წაართვეს. სისხლის სამართლის წარმოების დებულებაში იმ მუხლს, რომელიც ამტკიცებს, რომ არავინ არ შეიძლება დასჯილ იქმნას დანაშაულისთვის უიმისოდ, თუ სისხლის სამართლის წესით არ იქმნა მიცემული პასუხის გებაში და გასამართლებულიო,—ამ მუხლს ერთი მრავალმნიშვნელოვანი განმარტება დაემატა: სასამართლოს არ შეეხება ის ზომები, რომელსაც პოლიციის მოხელენი და საერთოდ ადმინისტრაცია ხმარობს ბოროტ-მოქმედებათა და დანაშაულებათა ასაცდენად და მოსასპობად კანონის მიერ დადგენილის წესით. ამ გვარად, სასამართლოს დებულებათა გამოცხადების დღესვე ადმინისტრაციას სასამართლოს გარეშე დამოუკიდებლივ მოქმედებისათვის საკუთარი ბილიკი ჰქონდა მიცემული. ეს ბილიკი შემდეგში თანდათან გაფართოვდა, თანდათან გაიზარდა და ბოლოს იმ ზომამდე მიაღწია, რომ მრავალი სასისხლის-სამართლო საქმე რჩება ადმინისტრაციის ხელში.

ერთ-ერთი საუკეთესო და კანონიერების ჭეშმარიტად დამცველი პრინციპი ახალ სასამართლოში ის იყო, რომ საზოგადოების, ხალხის წარმომადგენელნი, განსაზღვრულის წესით თვით საზოგადოებათაგან არჩეულნი, მოწოდებულ იყვნენ სამართლის აღსასრულებლად თემიდის ახალს დარბაზში. ამ არჩეულ პირთაგან შემდგარს კოლლეგიებს უნდა გაერჩიათ სისხლის სამართალში მიცემულის ბრალდებულის დამნაშავეობა თუ დაუნაშაულობა, და იმათის მსჯავრის თანახმად უნდა მოქცეულიყვნენ მოსამართლეები: ან დაესაჯათ ბრალდებული და ან გაენთავისუფლებინათ სასჯელისაგან. ასეთი სასამართლო რომელშიაც ორი კოლლეგია ჰმოქმედობს, ერთი სახელმწიფო პროფესიონულ მოსამართლეთა და მეორე—საზოგადოებისაგან არჩეულ პირთა, ნამდვილი თავმდებია იმისი, რომ სასამართლოს მსჯავრი მუდამ საზოგადოებრივ განწყობილებასთან შეთანხმებული იქნება და ამ გზით განვითარდება ის პატივისცემა კანონისადმი, რომელმაც, თანახმად 20 ნოემბრის 1864 წლის უმაღლესის ბრძანებისა, საზოგადოებრივი კეთილდღეობა უნდა შეჰქმნას. ამ გვარი სასამართლო, ეგრედ წოდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთის მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში იქმნა შემოღებული, და 1864 წლის შემდეგ იქაც იმისი მოქმედების ფარგალი რამდენადმე შევიწროვდა.

საჯაროდ სასამართლო საქმეების წარმოებასაც ამ ორმოცის წლის განმავლობაში საკმაოდ შეაკვეცეს ფრთები. ამ ჟამად არა თუ იუსტიციის მინისტრს, ადმინისტრაციას საერთოდ უფლება აქვს მოითხოვოს, რომ სასამართლოში კარები დაიკეტოს და ხალხის დაუსწრებლად განიხილოს საქმე. ამ შემთხვევაში აღარც გაზეთებში შეიძლება გამოქვეყნდეს სასამართლოს მოქმედების ანგარიში. პირვანდელ განზრახვას, რომ კანონიერების განსავითარებლად საზოგადოებაში ყოველი საქმე საჯაროდ უთუოდ განხილული, მთავრობამ შემდეგში გვერდი აუქცია იმ მოსაზრებით, რომ ზოგიერთს შემთხვევაში გასარჩევ საქმის ვითარებათა გამოქვეყნებამ შეიძლება მავნებელი გავლენა იქონიოს და მავნებელი წამბაძველობა გამოიწვიოსო. ამ ზოგიერთ შემთხვევისთვის ადმინისტრაციას უფლება აქვს მოითხოვოს საქმის განხილვა სასამართლოში ხალხის დაუსწრებლად.

სასამართლოს დასაახლოვებლად ხალხთან განზრახული იყო მცირე ფასიანი სადავო სამოქალაქო საქმეებისა და მცირედ დანაშაულობათა განსახილველად დაეწესებინათ და შეექმნათ საზოგადოების მიერ ამორჩეული მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობა. ამ მოსამართლეს უნდა დაჰქვემდებარებოდა სადავო საქმეები 500 მანეთამდე და ის დანაშაულობანი, რომელიც ჩამოთვლილია ამისთვის შედგენილს წესდებაში სასჯელთა შესახებ, რომელსაც უნიშნავს მომრიგებელი მოსამართლე. ამორჩევა საზოგადოების მიერ მომრიგებელ მოსამართლისა მთავრობამ შემდეგ არა სასურველად სცნო და ამ ჟამად მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგს-და აქვთ უფლება მოსამართლის არჩევისა, სხვა ადგილებში მომრიგებელი მოსამართლე ინიშნება იუსტიციის მინისტრისაგან. გარდა ამისა, რუსეთის ზოგიერთს ადგილებში შემოიღეს თანამდებობა საერობო უფროსისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს მოსამართლეც არის და ადმინისტრატორიც. საერობო უფროსი შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების მოხელეა და ამავე დროს ამ მოხელეს მოსამართლის უფლებაცა აქვს მინიჭებული. ამ გვარად, მთავრობამ შესაძლოდ სცნო წვრილმან საქმეების გასარჩევად ადმინისტრაციისა და სასამართლოს განცალკევების პრინციპის მივიწყება და ერთსა და იმავე მოხელისთვის მინიჭება მოსამართლისა და ადმინისტრატორის უფლებისა.

ერთის სიტყვით, სასამართლოს რეფორმის დედა-აზრებს განვლილ ორმოცის წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ დაეკარგა პირვანდელი სიწმინდე და უმწიკვლობა. ყოველი ახალი გადახვევა იმპერატორის ალექსანდრე მეორის წესდებათაგან რუსეთის ლიტერატურასა და საზოგადოებაში დიდს ლაპარაკსა და მსჯელობას იწვევდა. რუსეთის საუკეთესო გაზეთი „რუსკია ვედომოსტი“ და 1900 წლიდან გაზეთი „პრავო“ თავგამოდებით იცავენ და იცავდნენ 1864 წლის რეფორმების დედა-აზრს. მაგრამ იმათი ცდა მომეტებულს შემთხვევაში უნაყოფოდ რჩებოდა.

რაც შეეხება კერძოდ ამიერ-კავკასიას, აქ სასამართლოს რეფორმა 1867 წლიდან შემოიღეს, მაგრამ ამიერ-კავკასიის სასამართლოს არასოდეს არა ჰქონია არც ნაფიც მსაჯულთა სამართალი და არც ამორჩეული მომრიგებელი მოსამართლე. კავკასიის მომრიგებელი მოსამართლე მინისტრის განკარგულებით ინიშნება და იმისი მოქმედების ასპარეზი აქ ბევრად უფრო დიდია, ვიდრე რუსეთში. ჩვენებურს მოსამართლეს ექვემდებარება სამოქალაქო საქმეები 2000 მანეთამდე და აგრეთვე დავები უძრავ ქონებათა შესახებ.

კანონიერების გრძნობის გასამტკიცებლად აუცილებელია, რომ ხალხს, რომელიც სასამართლოს მოქმედებას უცქერის, ესმოდეს და ეყურებოდეს ის ენა, რომელზედაც სამართალი სწარმოებს. უამისოდ სასამართლო, რაც უნდა კანონიერად ჰმოქმედებდეს, ხალხში კანონიერების გრძნობის განვითარებას სრულიად ვერაფერს სამსახურს ვერ გაუწევს. ჩვენის სასამართლოს ენა უმრავლესობას არ ესმის და ამიტომ არცა სწამს, რომ სასამართლოში ის უთუოდ სიმართლეს იპოვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლოში დაბარებული მოწმენი ხალხის დაბალის წრეებიდან მომეტებულ ნაწილად არა ჰგრძნობენ საჭიროდ სიმართლე აღიარონ სასამართლოს წინაშე და ხშირად სრულს სიცრუეს ლაპარაკობენ.

ამისდა მიუხედავად, ახალი სასამართლო მაინც გაცილებით მეტს სიმართლეს იძლევა, ვიდრე წინანდელი, და გაცილებით უკეთ სდარაჯობს კანონიერებას, ვიდრე ბიუროკრატიული და კარჩაკეტილი სასამართლო დაწესებულებანი 1864 წლამდე.

გ. რ.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

23 დეკემბერი

მოსკოვი, 23 დეკემბერი. სდგება საქალაქო სასანიტარო სამზრუნველოები, რომელნიც ერთად იმოქმედებენ ღარიბების სამზრუნველოებთან და სამკურნალო ორგანოებთან. განზრახვა აქვთ დაარსონ პატარა წრეები ქალაქის ექიმების სამეცნიერო და პრაქტიკულ მიზნებისათვის ყოველ რაიონში.

მოსკოვი, 23 დეკემბერი. 20 დეკემბერს მომხდარ ცეცხლის ზარალი 40,000 მანეთამდეა. ცეცხლი დაიწყო ბრინჯაოსა და გიფსის მოდელების ზალაში, რომელსაც არც ათბობდნენ და არც ანათებდნენ. ცეცხლის მიზეზი გამორკვეული არ არის. ქონება დაუზღვეველია.

ბუდაპეშტი, 22 დეკემბერი. ახალი არჩევნები მოხდება 13 და 26 იანვარს. ახალი რეიხსტაგი მოწვეულია 3 თებერვლისათვის.

სტამბოლი, 22 დეკემბერი. მონასტირის ვილაიეტში ჯარებმა მოსპეს ბოლგარელთა რაზმი, ცხრა კაცისაგან შემდგარი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

პირველი ვარშაველი განსაკუთრებულ ქაღალდებისა და აბრეშუმის ნახელოსნო

აბაჟურისა

ფასი 40 კ.—4 მანათამდის და ზევითაც.

ყოველნაირი აბაჟურები,

აბრეშუმების შეკვეთით. მიხეილის პრ. № 105. ეზოში, მარჯვნივ. (1—418—1)

დიდი პონარომა

დღეს და ყოველ დღე გაღე-[illegible]-ქნება დილის 10-დან საღამოს 10 საათამდე, სამხედრო [illegible] პირდაპირ, სახლი მირიმანოვისა, „ორიანტის“ სასტუმროს ქვემოდ გოლოვინის პროსპექტზე. გ-ნი არასხო ჩინეთ-იაპონიის ჟონგლიორი, სამაგალითო დემონსტრაცია დანებითა და სხვ. 12-დან საღამოს 9 საათამდე. შესვლის ფასი 25 კაპ. მოსწავლენი და სალდათები—15 კაპ. (1—423—1)

კახური ღვინო

თავადი მ. ს. ანდრონიკაშვილი

1 იანვრიდან 1905 წლისა ვიწყებ საკუთარის ღვინით ვაჭრობას ქ. ტფილისში, კუკიაში სახლი ლაზარეშვილისა № 32— ნეკრასოვისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში, პირ-და-პირ თავად გურამიშვილის სახლისა, სადაც უწინ „ივერიის“ რედაქცია იყო. 4—419—1.

ი. ს. ანანი[illegible]ვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში ისყიდება:

1) დარჩენილი ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა-და-სხვა ჯიშისა: **Rupestris mout., Riparia gl.** და **Riparia× Rupestris101^{14}.**

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: **Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну.** (15—13(

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—10)

დაიბეჭდა და ისყიდება

კალენდარი „ცოდნა“

თითო ღირს ორ შაურათ

ვინც ერთბაშად ასზე მეტს იყიდის, დაეთმობა ექვს-ექვს კაპეიკათ.

შოთა რუსთაველის

დიდი სურათი

დაიბეჭდა ფოტოტიპიით სუფთად ბრისტოლის მთელს თაბახზე

ღირს ათ შაურათ

ვინც ათს ერთბაშად ნაღდზე იყიდის, დაეთმობა ორ-ორ აბაზათ და ვინც ოცზე მეტს—85 კაპ.

ფოსტით მისამართი: Тифлисъ Книжн. магазинъ „Цодна“.

სოსიკო მერკვილაძე. (12—9)

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლდე-ქვეშ კუთაისს

იყიდება 1000 ჯიშის ნერგი:

დამყნილი ძირიანი ვაზი. ლერწი ნამყენი და დასამყნობი. ფესვ-გადგმული ვაზები გასაშენებლად და პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები, რომელიც კარგ ნაყოფს იძლევა. განცხადება და პრეისკურანტი უფასოდ.. (5—2)

რედაქციისაგან

ვისაც ჰსურს მომავალ წლის პირველ იანვრიდან გაზ. „ცნობის ფურცელი“ დაუყოვნებლივ მიუვიდეს, მათ უმორჩილესათ ვთხოვთ დააჩქარონ და დროზე დაიკვეთონ აღნიშნული გამოცემა, რათა ადრესები დროზე დამზადდეს.

ქუთაისის, ოზურგეთის, ჭიათურის და თელავის ხელის მომწერთ, რომელთაც ჰსურთ ადგილობრივ რედაქციის აგენტებისაგან მიიღონ გაზეთის ნომრები, ვთხოვთ ხელის მოწერის დროს შეგვატყობინონ თავიანთი სურვილი.

ქუთაისში გაზეთ „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ განყოფილება მოთავსებულია „კოლხიდა“-ში. ყოველივე ცნობისთვის ქუთაისლებმა იქ უნდა მიჰმართონ.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** წელიწადი მეათე

სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით **6** მან.

ფასი გაზეთისა გაგზავნით

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენი პირველ მარტამდე.

საზღვარ გარეთ ერთის წლით **9** მან.

ყოველ თვიური ჟურნალი **„მოამბე“** წელიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით **10** მან. ცალკე №—1 მან.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“

საზღვარ გარეთ ერთის წლით **13** მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

უფასოდ გაიგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ აბაშიძის მიერ და შედარებულია გაიარდის ფრანგულ თარგმანთან **ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.**

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ **უაზბეგის ნაწერების ფორმატისას**

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1905 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის განგრძობას, მან შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძის- და მის ძმებისა.

ეს წიგნი ძალიან ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 800 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანცელარიის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სალგომში.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.**

KAKAO

ВАНЪ-ГУТЕНА

გულითადი სურვილი ჩვენის ბავშვებისა ის არის, რომ საუზმისთვის მიიღონ

კაკაო ვან-ჰუტენისა

ჩაისა ან ყავის მაგიერ კარგია ბავშვებს ეძლიოთ ყოველთვის ეს სასიცოცხლო ნაყოფიერი სასმელი.

Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія).

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით.

ადრესი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОНДНА“.**

(50—47). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

ვარდციხის მამული

ვ. ლ. მელმანისა

ჰყიდის სამყნობლად და გასამრავლებლად

Riraria Gloire de Montpellier Rupestris de Lot ვაზის რქები და ფესვ-გადგმული ვაზები.

Riparia×Rupestris 3306
Riparia×Rupestris 3309
Solonis×Riparia 1616
[illegible]
Mourvedre×Rupest.1202
Hybride Franc.
Alicante×Rup.Terras 20

ადრესი: **Ст. Ріонъ Зак. Ж. Д. Въ имѣніе Мельмана.** ამავე-კვ. კორესპონდენციისთვის: **г. Кутаисъ, повѣстку перед. на ст. Ріонъ, въ контору имѣнія В. Л. Мельмана, получить И. Л. Гулисову.** (11—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
1905 ГОДЪ

на вечернюю газету

„Приволжскій край“

издающуюся въ Саратовѣ.

Подписная цѣна для иногороднихъ подписчиковъ на годъ—5 рублей, на полгода 3 рубля, на 3 мѣсяца—1 р. 70 к., на 1 мѣсяцъ—60 коп.

Объявленія принимаются по таксѣ: впереди текста 15 коп., послѣ текста 5 коп., годовыя по соглашенію въ Центральной конторѣ объявленій Т. Д. „Л. Э. Мэтцлъ и К°“ въ Москвѣ, а изъ губерній нижняго Поволжья въ конторѣ „Приволжскаго Края“ въ Саратовѣ. (3—3)

გენერალური ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევმა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადატემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე სავერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ. ოქოევის სახლი, ტელეფონი **№ 429.**

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—58)

ყურადღება მიაქციეთ საქარხნო მარკას: „მწერალი ამური“.

სასარგებლო საჩუქარი
ოჯახისათვის



მიღებულია მრავალად გრამოფონის ფირფიტები სულ ახალის სიმღერებისა. სიმღერები ათასნაირია სხვა-და-სხვა ენაზე.

ფასები იაფებია

საკონცერტო მემბრანები 3 მანეთი და უფრო მეტი.

ტფილისი—გაიგანტი

სააქციონერო საზოგადოება

გრამოფონი

ФАБРИЧНЫЙ ЗНАКЪ. TRADE MARK

საქარხნო მარკა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი თეატრთან № 69

(10—3)

აპარატებისა და ფირფიტების ყიდვის დროს

აპარატებისა და ფირფიტების ყიდვის დროს

ყურადღება მიაქციეთ საქარხნო მარკას: „მწერალი ამური“.

თამბაქოს ქარხანა სავაჭრო სახლის
ნ. ი. ბოზარჯიანცისა და შ-სა.

(ქარხანა არსებობს 1858 წლიდან)

ჩვენის მუშტარის **გასაფრთხილებლად** ვაცხადებთ, რომ თამბაქოს ქარხანამ სააქციონერო საზოგადოების

„მირ“-ისა, მ. პ. საფაროვის მემკვიდრეებისა

და სხვათა დაამზადეს პაპიროსები. ეს პაპიროსები ისეთსავე ყუთებში აწყვია, ისეთივე წარწერა აქვს ეტიკეტებზე, აგრეთვე ფორმა კოლოფებისა და ქაღალდის ფერი, როგორსაც ჩვეულებრივ ხმარობს ჩვენი ფირმა, რომლის ნაწარმოებიც მეტად გავრცელდა.

№ 8. ფასი 10 ცალი 5 კ.

„სიმპატია“ № 15 ფასი 10 ც. 5 კ.

„ნაროდნია“ № 7 ფასი 10 ც. 3 კ.

„ეკონომია“ № 16 ფასი 10 ც. 3 კ.

ამის გამო ვთხოვთ მყიდველთ, რომ პაპიროსების მოთხოვნის დროს ყურადღება მიაქციონ.

მთავრობის მიერ დამტკიცებულ ეტიკეტს და საქარხნო ნიშანს.

და ყოველ კოლოფზე მოთავსებულ წარწერას.

ნ. ი. ბოზარჯიანცი შ-ით.

მუშტრის მოსატყუებლად „მირის“ ქარხანა თავის ნაწარმოებზე იმავე №№, როგორსაც ჩვენი, ასვამს ისეთ ნიშანს, რომელიც ძნელი გასარჩევია ჩვენის სავაჭრო სახლის ნიშნისაგან. სამართალში მივცემთ სიყალბის ჩამდენთ. (10—1)

Доз. цен. Тифлисъ, 24 декабря 1904 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ა.